სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ჩოლოქი

1993
ოთხშაბათი
22
ივლისი
№ 29 (10620)
ფასი 10 კუპონი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღმერთი ფარავდეთ

ერთ დიდ მწერალს თავის დროზე აქვს ასეთი რამ ნათქვამი: „მეგობარო, ნუ იცხოვრებ შიშში და სიძულვილში!“ ჩვენ, ქართველებმა, უპირველეს ყოვლისა, ეს ორი შინაგანი ურჩხული უნდა დავძლიოთ, რომ გავიმარჯვოთ. დღეს აფხაზეთში მებრძოლ ჩვენს გულუშიშარ ბიჭებს დაძლეული აქვთ შიშიც და სიძულვილიც. ისინი საქართველოს მთლიანობას იცავენ.

როცა ბოროტმა ძალებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს სლავა მინჯიას, მისმა დაუმორჩილებელმა სულმა სიცოცხლე განაგრძო თემურ ვაწაძეში. როცა ეს უკანასკნელი დაიღუპა, მისი სული ენ-ვერ ქობალიაში გადასახლდა. ენვერის სულიც, მასში მოგიზგიზე მარადიული ცეცხლი თავისუფლებისათვის ბრძოლისა, მის თანამებრძოლებში აგრძელებენ სიცოცხლეს.

ამ დაუმორჩილებელი სულის გამოხატულებაა ჩვენი ვაჟკაცობის თავგანწირული ბრძოლა აფხაზეთში. ისინი იმ წმინდა ორდენის წევრები არიან, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია უკეთური ძალებისაგან სამშობლოს განთავისუფლება.

ესენი არიან სხვადასხვა უნარის, ხასიათის, ტემპერამენტის პიროვნებები, მაგრამ აერთიანებთ ერთი რამ: ეროვნული, ქართული, მამა-პაპური ღირსების გრძნობა, რომლის გარეშე ადამიანი არარაობას უტოლდება.

ღმერთი ფარავდეთ მათ.

ა. პაპავა.

## მეორეხარისხოვანთა ინიციატივა

აფხაზეთში მებრძოლთა დასახმარებლად, ქალაქის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა მშობლების ინიციატივით, შეიქმნა შემოწირულობათა შტაბი, როგორც შტაბის უფროსმა ციცო ჯეჯელავამ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, თავიდან გადაწყდა შემოწირულობები სურსათით განსაზღვრულიყო, მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერ მოხერხდა და შემოწირულობები ძირითადად ნებაყოფლობითი ფულადი დახმარებით შეიცვალა.

დღეისათვის შეგროვილია სერიოზული თანხა. შემოწირულობების მიღება გრძელდება. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ერთად შტაბს სკოლის კურსდამთავრებულები სტუმრობენ.

### გაუგზავნეს მებრძოლებს

## კეკრიოზული ვალი

არ ცხრება ბოროტების დემონი აფხაზეთში. ძმათა შორის გაჩაღებულ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლებს ეწირებიან უდანაშაულო ადამიანები. ამჟამად აფხაზეთის ფრონტისაკენ არის მიმართული მთელი ჩვენი ხალხის ყურადღება. გაუსაძლისი ყოფით განაწამები ადამიანები თვითონ იკლებენ და მებრძოლებს უგზავნიან სხვადასხვა სახის დახმარებას.

ამ დღეებში ქალაქის საავადმყოფოს მედპერსონალმა 320 ათასი მანეთის სურსათსანოვაგე შეაგროვა და აფხაზეთში აქტიურად მოქმედ სლავა მინჯიას სახელობის პოლკის მებრძოლებს გაუგზავნა.

ა. გაბუნია.

## მამულს შეწირულნი

ივლისის ამ გაუსაძლის დღეებს მემატიანე დაფიქსირებს, როგორც ერთერთ უმძიმეს, ტკივილიან პერიოდს ყველა პატიოსანი ქართველისთვის, ვისაც გული შესტკივა მამულის ხვალინდელ დღეზე. გვეღუპებიან რჩეული ვაჟკაცები, რომლებიც თავიანთი, ამაღლებული სიკვდილითაც კრავენ და ამთლიანებენ სათაყვანებელ სამშობლოს კანონიერებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

ზუგდიდი თავს ხრის მათი სსოვნის წინაშე. იმ ღირსეული ახალგაზრდების წინაშე, რომლებმაც ქვეყნის გადარჩენისათვის, წინაპართა სისხლით მორწყული მიწაწყლის დასაცავად ყველაფერი განზე გადადეს და ცეცხლის ხაზს მიაშურეს.

მათი სული დღეს ზეცად არის ამაღლებული მარადიულ სალუფეველშია დაბინავებული.

ა. ლოგუა,

### სოფელი და მისი პრობლემები

## ვიფიქრით ამაზეც...

ქვეყნის ძლიერების ფუნდამენტს სოფელი წარმოადგენს. ეს ოდითგანვე იყო ასე. მტერთაგან განადგურებულ ქვეყანას სოფლელის მკლავით ეწერა განახლება.

სოფელი ჯიხაშკარი საუკუნეებს ითვლის. მან მტკიცედ შეინარჩუნა თავისი კუთხური ელფერი და მამაპაპური ტრადიციები. აქ აღზრდილები ქვეყნის სასარგებლოდ შრომობენ და იღწვიან. არაერთი მათგანი მეცნიერიცაა და მჭიდრო კავშირი აქვს სოფელთან.

დამოუკიდებელი საქართველოსთვის ზრუნვით იწყება ყოველი დღე. გაჩნდა და მკაფიოდ წარმოჩინდა უამრავი პრობლემა, რომლის გადასაჭრელად იღწვიან ადამიანები.

ბუნებრივია სოფლელ კაცს, სოფელში ცხოვრების სურვილი და ხალისი უნდა ჰქონდეს. ახლა, როგორც ჰაერი, ისე სჭირდება სოფელს მშრომელი ადამიანი. პლანტაციებს მუშახელი, შინაგანი ძახილი, ენთუზიაზმი და რწმენა.

ქრისტიანობის აღორძინებისა ხანაში, კარგი იქნებოდა სოფელს ჰქონდეს თავისი ხალოცავი. ვიფიქროთ ამაზეც.

ბ. ანდრიაძე.

## ჩაის დარგში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად

ითვალისწინებს, რა ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის სურსათითა და საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ — ტექნიკური რესურსებით მომარაგების საქმეში ჩაის დარგის გადამწყვეტ მნიშვნელობას, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობამ გადაწყვიტა:

1. რაიონის ჩაის მწარმოებელი საწარმოების ხელმძღვანელებმა გაატარონ ყველა საჭირო ზომები დარგში არსებული ჩამორჩენილობის დასაძლევად, მიიღწიონ ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით მეჩაიეთა დაინტერესებას და კრეფის ტემპის გაძლიერებას. პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ აღებული მოსავლის აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში ჯეროვანი წესრიგის დამყარება, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რესურსები ნედლეულის დროული ტრანსპორტირებისათვის.

2. ჩაის გადამამუშავებელმა საწარმოებმა (საკუთრების ფორმის მიუხედავად) არ დაუშვან ჩაის ფოთლის მიღება—გადამუშავება ნედლეულის მწარმოებლებთან დადებული ხელშეკრულების გარეშე და უზრუნველყონ მიღებული ნედლეულის აღრიცხვა-გაფორმება. ამ საწარმოების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ლიცენზირებისა და მთავრობის მიერ დადგენილი კვოტების გარეშე ჩაის პროდუქციის რეალიზაციისათვის.

3. აგრომრეწვბანკის ზუგდიდის განყოფილებამ (გ. კორკელია) და სხვა მომსახურე ბანკებმა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან გადამამუშავებელი საწარმოების (საკუთრების ფორმის მიუხედავად) მიერ შესყიდული ჩაის ნედლეულის დაკრედიტება მწარმოებლებსა და დამამზადებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და ფაქტიურად შესყიდული ნედლეულის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

4. ჩაის პროდუქციის გამოსავლიანობის დადგენისა და მისი შემოსავალში სწორად აღების საქმეში საჭირო დასმარების აღმოჩენისა და ჯეროვანი წესრიგის დამყარების მიზნით რაიონის აგროსამრეწველო სამმართველომ (ლ. ჭითანავა) სამეურნეო წლის მანძილზე ერთხელ მაინც ჩაატაროს ინვენტარიზაცია პირველად და მეორად ჩაის ფაბრიკებში და შედეგები წარმოადგინოს განსახილველად საჭიროების მიხედვით.

5. ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველომ (თ. ქირია) გაატაროს საჭირო ზომები დაუფასოებელი და დაფასოებული ჩაის პროდუქციის რაიონის ფარგლებს გარეთ ლიცენზირებისა და სათანადო კვოტების გარეშე გატანის აღსაკვეთად.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ ლიცენზიისა და სათანადო კვოტის გარეშე ჩაის პროდუქციის გატანის ყოველი ფაქტის გამოვლენისათვის ჩამორთმეული საქონლის რეალიზაცია ხდება საწარმოს კვოტის ანგარიშზე და 50 პროცენტი ხმარდება შინაგან საქმეთა სამმართველოს საჭიროებებს. მათ შორის თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას.

6. ამ გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად სათანადო მუშაობა და კონტროლი განახორციელოს აგროსამრეწველო სამმართველომ (ლ. ჭითანავა).

### გავუთგოთ ერთმანეთს სული

# „ჩვენი ღიმილი ცრემლიან საქართველოს!“

სამყაროში ნებისმიერი მწუხარება პირველ რიგში ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

ჩვენი სამშობლოს აწეწილი დღევანდელობაც პირველ რიგში პატარა ქართველების თვალებში გუბდება ტკივილად, ცრემლად, წართმეულ სიხარულად.

მაგრამ ბავშვებს ჩვენზე მეტად შეუძლიათ სიხარულის დაბრუნების სურვილის გამღავნებაც და დამაფიქრებელი პროტესტის გამოთქმაც თვით სამყაროს უზნეობის გამო.

ლენინგრადის ქუჩაც ზუგდიდის სხვა ქუჩებივით ჩვეულებრივი ქუჩაა. სხვებისგან განსხვავებული კი აღმოჩნდა ივნისის სიცხემორეულ რამდენიმე დღეს: ჯერ „ზემოუბანში“, მერე — „ქვემოუბანში“ ბავშვებმა კონცერტები გამართეს და ასაკით უფროსი მეგობრები მიგვიწვიეს. სიმღერის, ლექსის, ცეკვის სიტკბოსგან გაბრწყინებული ბავშვური თვალებით ითხოვდნენ ტაშს, მოწონებას, ყვავილებს, იმ დღეებში, იმ სახელდახელო კონცერტებზე კიდევ ერთხელ ვიგრძენი ბავშვების უპირატესობა ჩვენი, ასაკით დიდების წინაშე: ყველაფერისთვის ბუნებრივი სახელის დაბრუნება სურდათ, ყველაფერი ბუნებრივის დაბრუნება უნდოდათ: (იმედია, ამ ქუჩის სახელწოდებასაც შეაცვლევინებენ) კულისები, სცენა, მაყურებელი, სოლისტი. სცენა ერთ-ერთი მეზობლის ვერანდა იყო, ფარდა — ბამბუკის ჯოხზე გაფენილი ფარდაგი... მონდომებით გამოჭრილ, გულის ფორმის პირობით ბილეთებზე დიდი ასოებით ეწერა: „ჩვენი ღიმილი ცრემლიან საქართველოს!“

ნ. იაშვილი

# იმსახურებს ყურადღებას

ტუნგი სუბტროპიკულ ცხიმოვან კულტურებს შორის ერთ-ერთი პერსპექტიული და მომგებიანი კულტურაა. ზუგდიდის რაიონში არსებობს დიდი ტრადიცია ტუნგის მცენარის მოვლა-პატრონობის და უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

ფორდის ჯიშის ტუნგის მცენარის მოყვანა ინტენსიურად დაიწყო ჩვენს რეგიონში მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში, 1940 წლისათვის ზუგდიდის რაიონი გახდა ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი ფორდის ჯიშის ტუნგის თესლის. მისი ხვედრითი წილი რესპუბლიკაში მთლიანად დამზადებული თესლის ოდენობის მეხუთედს შეადგენდა. სამწუხაროდ, ტუნგის მცენარის მოვლა-პატრონობას ყურადღება არ ექცეოდა როგორც რესპუბლიკაში, ისე ჩვენს რაიონში მომდევნო 25 წლის მანძილზე.

1965 წლიდან განახლდა ტუნგის პლანტაციების გაშენება, გაიხსნა სპეციალური მეურნეობაც. ამაღლდა საჰექტარო მოსავლიანობა...

უკანასკნელ პერიოდში ისევ შენელდა ტუნგის კულტურისადმი ყურადღება. სადღეისოდ რაიონში არსებული ტუნგის პლანტაციების თითქმის 30 პროცენტი განადგურებულია, რაც გაპირობა მცენარის უნებართვო და უკანონო ჭრამ. ასევე პლანტაციის 30—31 პროცენტი მოუსავლიანობის გამო დაევრანებულია. დიდია მეჩხერიანობა. 1992 წლის მოსავლიდან ზუგდიდის რაიონში დამზადებულ იქნა მხოლოდ 12 ტონა ტუნგის კონდიციური თესლი, ანუ ჰექტარზე მიღებულ იქნა 15 კილოგრამი თესლი, რაც ძალზე საგანგაშო მაჩვენებელი გახლავთ. ტუნგის მოსავლიანობის კატასტროფულად დაცემას ხელი შეუწყო საზოგადოებრივ მეურნეობათა მხრივ ამ დარგის განვითარებისათვის სრულიად გაუმართლებელმა უყურადღებობამ და, რაც მთავარია, ტუნგის კონდიციური თესლის შესაყიდი ფასის მოსავლიდან ტუნგის თესლის შესასყიდი ფასი დაწესდა კილოგრამზე 90 მანეთი, რაც სამჯერ მეტია, ვიდრე იგი შეადგენდა წლეულს.

ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის დირექცია თხოვს საზოგადოებრივ მეურნეობებს და ინდივიდუალურ ჩამბარებლებს, გაითვალისწინონ ნედლეულის შესასყიდი ფასის სამმაგი გადიდება და დროულად შეუდგნენ ტუნგის პლანტაციების შემოკავებას, სარეველებისაგან გაწმენდას, ეკალ-ბარდისგან, გასუფთავებას და ახალი მოსავლის დროულად დამზადებას. ეთერზეთების კომბინატი დღეის მონაცემებითაც მზადყოფნის მდგომარეობაშია ტუნგის ნედლეულის მისაღებად. გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ტუნგის ნედლეულის მწარმოებლებს და დამამზადებლებს.

**ნანა კვარაცხელია,**
**ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის აგრონომი.**

### აღზრდის თემაზე

# ვისწავლოთ ურთიერთობის ხელოვნება

**დიალოგის სწორად წარმართვა ადამიანთა შორის ურთიერთგაგების წინაპირობაა. შეგახსენებთ წესს, რომელიც ჩაწერილი იყო თიხის ფიცარზე ჯერ კიდევ ძველ შუმერში მეოთხე ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე: „ნუ დააღებ პირს, ნუ იტყვი მაშინათვე, თუ გაჯავრებული ხარ. მოუფიქრებელი სიტყვის გამო მოგიხდებათ გაღიზიანება“. თავისი შვილებისადმი, დარიგებაში ვლადიმერ მონომახი გადმოგცემს იმ ნორმებს, რომლებიც უნდა დაეცვათ მთავართა შვილებს. დარიგებაში ვკითხულობთ: „უფროსებთან დუმილი, ბრძენებისადმი მოსმენა, პატივისცემა უფროსებისადმი, თავისი ტოლებისა და უფროსებისადმი სიყვარული (მოქცევა-მოპყრობა). საუბარი მათთან ყოველგვარი დაძაბულობის და აღელვების გარეშე, უფრო მეტი დაფიქრება, ნუ განსჯით სიტყვებით, ცოტა სიცილი“. ამ დარიგებებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალობა. რასაკვირველია, საუბრის დროს, არ შეიძლება ზომიერების გარეშე მოვიხსენიოთ ისინი, ვინც დიალოგში არ გვესწრება, რადგან ასეთ გამონათქვამებს ადამიანები მიჰყავს იმ აზრამდე, რომ სხვა კომპანიებში ისინი შეიძლება გახდნენ ასეთივე უსიამოვნო მსჯელობის საგანი. უნდა ვეცადოთ, რომ საკუთარ წარმატებებზე და თავის თავზე არ ვილაპარაკოთ, თუ ამის შესახებ სპეციალურად არ გვკითხავენ. განსაკუთრებით ცუდად გამოიყურება ყველა ღირსმესანიშნაობებისადმი ქებადიდება. არ ღირს პუბლიცისტური თვითკრიტიკაც. თუ თქვენ შემთხვევით გაიგებთ, რომ ნაცნობს რაღაც უსიამოვნო დაემართა, ნუ შეეცდებით მის ზუსტად ახსნას, თუ საჭიროდ ჩათვლის ამას, მაშინ თვითონ მოგიყვებათ მასზე. მხოლოდ უმკურ ადამიანები თვლიან, რომ მხოლოდ სხვისი დამცირებით იმაღლებენ საკუთარ თავს. ასეთი საქციელი მეტყველებს ქცევის ელემენტარული კულტურის უქონლობაზე. არასდროს არ უნდა აღვნიშნოთ საკუთარი თავის უპირატესობა გარშემო მყოფთაგან. ადამიანებს უფრო სიამოვნებთ, როცა ლაპარაკობენ მათ ღირსებებზე, წარმატებებზე, საერთოდ, მათს ცხოვრებაზე. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რათა მეტი ყურადღება მოსაუბრეზე, მის საქმეებზე, ახლობლებზე და ნაცნობებზე გადავიტანოთ. იმაზე, თუ რა უფრო კარგად იცის და უყვარს მას. საუბარში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყოველმა დამსწრემ, წინააღმდეგ შემთხვევაში საუბარში მონაწილეებს მოწყენილობა დაეუფლებათ.**

**ცნობისმოყვარეობა არ არის ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისება. არ შეიძლება მისი დაკმაყოფილება მეგობრებთან საუბრებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე პირადი ცხოვრების სფეროს ეხება. წესად უნდა მივიღოთ: არ დავინტერესდეთ სხვისი საიდუმლოებით და არ განვავრცოთ საკუთარზე. ეს კი დაგვეხმარება შევინარჩუნოთ კეთილი და სასიამოვნო დამოკიდებულება ახლობლებთან და ნაცნობებთან. საკუთარ აუცილებელ საქმეებზე შეიძლება ვილაპარაკოთ ძალიან მახლობელ ადამიანებთან, იმის ღრმა რწმენით, რომ ისინი მიიღებენ მონაწილეობას მასში.**

**ახლა კი რამდენიმე სიტყვით საუბრის მეთოდებზე: საუბრის დროს ყოველად დაუშვებელია, უპატივცემლოდ მივუთითოთ მოსაუბრის ტანისამოსზე, ან შევახსენოთ ქალს, რომ იგი მოხუცია. ეს ნიშნავს, ჭაწყენინოთ მას. სრულებით არაა მიღებული, რათა ერთი და იგივე წევრი საუბრობდეს, ხოლო დანარჩენები პასიურად უსმენდნენ. უნდა ვეცადოთ, რომ საუბარში რაც შეიძლება ბევრი პირი ჩაებას. საუბრისას უნდა ვეცადოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი ეუსტიკულაცია. უსიამოვნოა ლაპარაკისას საზოგადოებაში ხელის პირზე მიფარება, ან რაიმეს წაჩურჩულება ყურში. მხრებზე ხელის გადასმა დასაშვებია მხოლოდ მეგობრულ საუბარში. დაუშვებელია თითით ჩვენება, თუ აუცილებელია მივუთითოთ ადამიანებზე, უნდა ვისარგებლოთ გამოხედვით, ან ხმის ტონით. ზრდილობის წესები გვიკრძალავენ ზურგი არ შევაქციოთ მოსაუბრეს. საუბრისას არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მიმიკას. ხდება ხოლმე, რომ ადამიანები გამოიყურებიან წარბებიდან, ულამაზოდ ანაოჭებენ შუბლს, მრუდედ იცინიან. იმახინჯებენ პირისახეს სხვადასხვა გრიმასებით, ზემოთ დასახელებული ნაკლოვანებები უნდა იქნას დაძლეული საუბრის დროს, რადგან ეს ნაკლოვანებები არა მარტო ესთეტიკური ხასიათისაა, არამედ ისინი ხელს უშლიან ნორმალურ ურთიერთობას ადამიანებს შორის. ემოციების განზრახ დემონსტრაცია უსარგებლოა. ეუსტეტის მოქნილობა, უბრალოება, კეთილგანწყობილება, გამომეტყველებითი თავშეკავება საჭიროა აღვზარდოთ ოჯახში, საბავშვო ბაღში და სკოლაში.**

ა. ღურწკაია,
პედაგოგი.

# „საათის ტიკტიკი გესმის?“

**საათები, საათები და საათები და კიდევ ლამაზი უსათაური ლექსი:**

**„საათის ტიკტიკი გესმის?**
**მესმის.**
**დრო მიდის, იცი?**
**ვიცი.**
**წუთი სიკეთილია ხვდები?**
**ვხვდები.**
**მაშ, რაღას უცდი?**
**ვუცდი.**

**რომელიღაც ეურნალში ამოვიკითხე,— ამბობს ის. ავტორი არ მახსოვს. მომეწონა და ამოვიყვანე კარებზე, ასე მგონია ჩემზეა დაწერილი. ხომ ვზივარ დღე და მოსწრება. საათის ხმებიც მესმის. დროც მიქრის ცოდვა—მადლის ჭიდილში. ველოდები ვილაცას, რაღაცას. არავი.არი აზრი რომ არა აქვს არსებობას, თუკი ასე გაგრძელდა, იმასაც ვხვდები, მაგრამ მაინც ველოდები ჯიუტად... მაინც არ ვუტყდები თავს.**

**—მართლაც, საათივით არის ადამიანის ცხოვრება.**

**—ოღონდ, მოშლილი საათივით, აწყობილი საათივით რომ იყოს კარგია. ხან წინ ვარო, ხან მაჩანჩალები ვართ. ხან დუმილს ოქროდ ვთვლით, ხან ენად გავიკრიფებით. ხან მეოცე საუკუნის დახვეწილები ვართ, ხანაც.....**

**კაკო სიჭინავა მესაათეა. ნაღდი ქალაქელი, ნაღდი ზუგდიდელი კაცი, უსაზღვროდ შეყვარებული თავის ხელობაზე. კაცი, რომელსაც მტერი არა ჰყავს.**

**—გული მტკივა ჩანაცრებულ, განადგურებულ ქალაქს რომ ვუყურებ.**

**გული მტკივა; რომ ქალაქი წალეკა „ფსევდობიზნესმა“; თორემ ნამდვილი რომ იყოს, რა გვიჭირს... ახალგაზრდები გაურბიან, თაკილობენ ხელობას. საძებნია მეთუნე, მჭედელი, ფეხსაცმლის მკერავი... ცხოვრება კი ამ პროფესიის ხალხს ითხოვს. უცნაურები ვართ. ორი შვილი თუ გვყავს, ერთი შოპენი გვინდა გამოვიდეს, მეორე — ფიროსმანი. ყველაფერი შეიცვალა, ჩვენც შევიცვალეთ. სულ სხვა იყო 50—იანი, 60—იანი წლებს ზუგდიდი. ისე არ გამიგოთ, თითქოს წარსულს ვნატრობდე. არა. რაც კარგი იყო, წამოგვედო იმ წარსულიდან, რაც ცუდი იყო, იმისთვის ვგლეჯავ უარი. ამის—მაგვარი არაფერი მინახავს. ჩვიდმეტი წელია ვმუშაობ და ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩვიდმეტჯერ გამქურდეს. დამამტვრიეს სკამი, შეგიდან ჩამოხსნეს ნათურაც, ლამის ეს ციდა ჯიხურიც წაიღეს.**

**—თქვენი ნაცლოლიანები, ნაწვალები საათები?**

**—საათებიც შეიწირეს ამ „საგმირო საქმეებმა.“ ახლა ვატარებ ჩანთით სახლიდან ჯიხურამდე, ჯიხურიდან სახლამდე.**

**საათები, საათები და საათები.**

**მართლაც, საათივით არის ადამიანის ცხოვრება.**

**მარინე ჯონჯუა.**

ОМІС ХРОНІКА

# გვიამგოგს დაჭრილი

ქართველი კაცი ხნავდა, თესავდა თუ მკიდა, მუდამ თვალყურგამახვილებული იყო, რომ მტერი არსაიდან დასხმოდა. მტერი კი ურიცხვი ჰყავდა. ეს არაბიო, თურქიო, მონღოლიო და ა. შ. მიდიოდნენ ქართველი ჭაბუკები ომში, მიდიოდნენ და უყოყმანოდ მიჰქონდათ თავიანთი სიცოცხლე მამულის სამსხვერპლოზე. ასე იყო წინათ, ასეა დღესაც. მტრის ჯინაზე უფრო კარგები, უფრო გულოვანნი იბადებიან. მოვუსმინოთ აფხაზეთის ომის ერთერთ მონაწილეს, ზურაბ ქადარიას, რომელიც მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს ქალაქის საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში.

ძნელია ომზე ისაუბრო, ომის ეპიზოდებზე მოუთხრო ვინმეს. თვალწინ მეგობრების გატანჯული სახეები გიდგას, ყურში კვნესა ჩაგესმის. იქ ყოველ ხის ძირას, ყოველ ქვასთან სიკვდილია ჩასაფრებული, შენ ნაბიჯ-ნაბიჯ ბი უკან დარჩა. ტამიში დავიბრუნეთ. ახლა ბატალიონი „კოლხეთი", რომლის წევრიც მე ვარ, რეკისა და ბედიის ტერიტორიებს აკონტროლებს. სწორედ რეკასთან შეტაკების დროს დავიჭერი. სროლა ნახევარ საათს გრძელდებოდა. ერთადერთი აზრი, რომელმაც გამკრა ჭურვის მოხვედრისას ის იყო, რომ მტერს არ ჩავეგდე ხელში. ტყვეობას ყვავილაფერს ვარჩევდი. მეგობარმა ხვიჩა თორიამ გამომიყვანა ტყვეების წვიმიდან. ბრძოლაში ერთი „აფხაზი", გვარად კვარაცხელია დავიჭირეთ. თვითონ ალბარა თავისი დანაშაული. ამ არაკაცმა უპირავს. ასეთები კიდევ ვის წისქვილზე ასხამენ წყალს.

ერთ მტკაველ მიწას არ დავთმობთ. მე ახლა ცუდად ვარ, არა იმის გამო, რომ ჭურვის ნამსხვრევი ხუთ ადგილას მაქვს სხეულში. უფრო იმის გამო, რომ აქ ვარ პალატაში. ჩვენი ბატალიონი იქაა, აფხაზეთში, იქაა ბატალიონის უფროსი ანზორ ჩხეიძე, ბიჭები. მეც იქ უნდა ვიყო. ჩვენს ქალაქსაც არ დავთმობთ, თუ ხუნტის ჯარები დაპირებენ მისკენ გამოლაშქრებას. გავწყდებით და არ დავთმობთ.

ჩაიწერა მ. ჯონჯუამ.

ТАКІВІЛІ

# როდემდე ვიყოთ ამ დღეში

ოცოცხლად ჩამარხა მიწაში ჩვენი თანამებრძოლი რეზო სესქურია. სიჩი საათი სუნთქავდაო მიწა. ჩვენ ვერ მივუსწარით რეზოს ცოცხალს. იქვე უნდა მიგვეხვრიტა ის ვაიქართველი, მაგრამ ზოგიერთებმა არ დაგვანებეს. ჯერ ერთი, მტერი ისედაც ძლიერია. მას მთის კალთები, ზეგნები

საღღეისო მოთხოვნაა: ერთიანი ძალისხმევით (ჭეშმარიტად ეროვნული პოზიციებიდან გამომდინარე) შეკავშირება, ეროვნული და სოციალური სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აუცილებელი პირობაა მისი ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტონომიური ფორმირებები მისი განუყოფელი ნაწილია.

უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება დღეს ერს. ომი აფხაზეთში სეპარატისტების მოგონილია. არც აფხაზ ხალხს და არც ქართველ ხალხს არ სურს ომი, ნაშრომ-ნაამაგარის რბევა და შვილთა სიცოცხლის გაწირვა. ტუუპისალივით შეზრდილი ქართველი და აფხაზი დღეს ხმალამოღებული ებრძვის ერთმანეთს. ტყვია და ბომბი არ არჩევს ეროვნების მიხედვით ხალხს, იგი ყველასათვის ერთია. ურთიერთობის ასე უკიდურესად გამწვავება ერს ტრაგედიამდე მიიყვანს.

დღევანდელი ვითარება მოითხოვს ურთიერთ ორმხრივ კომპრომისს. საჭიროა წონასწორობის აღდგენა პოლიტიკური დიალოგის გზით. მოსკოვურ გადაცემებში ყური მოვკარი არძინბას ნათქვამს შეკითხვაზე: რუსები თუ გეხმარებიან ომშიო, მისი პასუხი იყო ქართველებს რუსები ამარაგებენო იარაღით, ჩვენ კი ვართმევთო... ამასობაში ცეცხლი უკიდია სოხუმს ამობუგული ქალაქები.

სიტყვა „ლტოლვილი"— სიკვდილს ნიშნავს ბავშვებისათვის. ისინი ტირიან ამის გაგონებაზე და წარმოიდგენენ რაღაც საშინელებას. რატომ უნდა ვიყოთ განდევნილები საკუთარი მიწა-წყლიდან, რატომ გაგვხადეს სხვის კარზე მათხოვრად?

კმარა, ბოლო უნდა მოეღოს ამ მოგონილ ომს!

მ. გულია,
ლტოლვილი.

ЗУГДІДЛ ХУАВДА ЗАХЕЛОВАНІ СПОРТСМЕНЕБІ

# ჩვენი გულია

საქართველოში დიდი ფეხბურთელობის საზომი თბილისის „დინამოში" ასპარეზობაა. სწორედ ამ გუნდში გამოდიოდა ზუგდიდელი გულია თუთბერიძე, როცა ლეგენდარულმა მწვრთნელმა ანდრო ყორდანიამ, თბილისში, ერთ-ერთი თამაშის წინ, შეკრებაზე საჯაროდ წაიკითხა ზუგდიდიდან გამოგზავნილი დეპეშა: შვილის შეძენას გილოცავთ. ბატონმა ანდრომ თავისთან მოიხმო გულგახარებული მამა და ყველას თვალწინ ძველქართული წესით ორივე ყური აუწია დალოცა: ეს ერთი და სხვა მრავალი, შვილმრავლობა დაგბედებოდეთო.

გულიას გული მაინც ოჯახისაკენ მოუწევდა. ჩუმად გამოეთხოვა ვოვა მარღანიასა და ნიაზ ძიაშპას, რომლებთანაც ერთ ოთახში ცხოვრობდა, ზუგდიდელი ვალო ქირიასთვის არ გაუმხელია გახზრახვა და უნებართვოდ დატოვა „დინამოს" სახელგანთქმული კოლექტივი. ეს იყო 1948 წელს. გულიას გუნდიდან წასვლა ყველას ეწყინა, მათ შორის, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბატონ შოთა შავგულიძესაც, რომელმაც პირადად შეარჩია ზუგდიდში გულია თუთბერიძე დიდი ფეხბურთისათვის.

გულიას საქციელი უჩვეულო იყო. ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა. ფაქტიურად ის პირველი ზუგდიდელია, რომელმაც საკუთარი ნებით დატოვა საქართველოს უპირველესი გუნდი.

გულიამ ზუგდიდის „დინამოში" გაგრძელა ასპარეზობა, სადაც ჯერ კიდევ 1944 წელს დაიწყო თამაში: მისი მწვრთნელები იყვნენ: უზადო სპორტსმენები: მიშა პაჭკორია, ალიოშა დიდიშვილი, ვალო ბულია, სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიშა გაგუა, სპორტის ოსტატი შურა მინჭია.

გულია ერთხანს სოხუმის „დინამოშიც" გამოდიოდა, სადაც მაყურებელმა სიყვარულით მეტსახელად ჰანიბალი შეარქვა.

ის გამოდიოდა ქუთაისის პირველ გუნდშიც, სადაც პერსონალურად მიიწვია ზუგდიდელმა სერგო (ბაჭია) ნინუამ, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა და ბევრი გააკეთა ამ ქალაქში ფეხბურთის აღორძინებისათვის.

გულია თუთბერიძე იყო უალრესად ტექნიკური თავდამსხმელი (№9, 10), ბურთის ტარების უბადლო ოსტატი. ის კარგად ხედავდა მოედანს და ბასა ღოღობერიძესავით თავაწეული ატარებდა ბურთს. იქით აძებდა მოწინააღმდეგის მცველებს, აბნევდა მათ და დასარტყმელ პოზიციებზე გაჰყავდა თანაგუნდელები. ხშირად თვით აკეთებდა გრძელ რეიდებს, ღრიბლინგით შედიოდა საჯარიმო მოედანზე და ძლიერი და ტექნიკური დარტყმით გაჰქონდა გოლი. არა მგონია, მიხეილ ბერძენიშვილის შემდეგ, ვინმეს უკეთესად შეესრულებინოს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, ვიდრე გულია თუთბერიძეს. მთელი სპორტული ასპარეზობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოახვედრა ბურთი ძელს. ყველანარჩენ შემთხვევაში მეკარე ერთ მხარეზე გორავდა, გულიას დარტყმული ბურთი კი მეორე კუთხეში ეხვეოდა ბადეში.

ერთი შეხედვით სწრაფი არ იყო. სინამდვილეში კი ეს ტანსრული სპორტსმენი დიდი ნაბიჯებით ისე სწრაფად ფარავდა მანძილს, რომ მის მცველს ყოველთვის ეხმარებოდა მოწინააღმდეგის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც დაზღვევაზე თამაშობდა. ზუგდიდელები ყოველთვის გულიაზე აგებდნენ თამაშს, მოწინააღმდეგისთვის მისი უვნებელყოფა იყო მთავარი.

გულიას ყველა თანაგუნდელი ადვილად უგებდა ჩანაფიქრს, მაგრამ ყველა სიტუაციაში ყველაზე გამგები პარტნიორად მიაჩნდა თანაგუნდელები; პანტე თუთბერიძე, (ძმა), ხოხო ჯღერია, ბუხუ შურღაია, აფანას და იურა გრამატიკოპულოები და სხვ.

გულია მოედანზე სპორტული კულტურისინდისიერების ნიმუში იყო. ის ერთხელაც არ გაუძევებიათ მოედნიდან, მისი დამტვრეულიც არავის ახსოვს.

გულია თუთბერიძის ფეხბურთი —ეს იყო ხელოვნების დონემდე აყვანილი სპორტი.

ფეხბურთს აქვს უცილობელი, შეუვალი კანონი: როცა ამოიწურები, მოედანი უნდა დატოვო. ფეხბურთს ახსოვს არაერთი შემთხვევა, როცა ყველაზე პოპულარული დიდოსტატი, ხანგრძლივი ტრავმებით ან სხვა მიზეზით დაუძლურებული, უკლებს ოსტატობას, მაყურებელი მასაც შეჰკადრებს მოედნიდანო! (სპოლია!).

მოედანზე 20 წლის ასპარეზობის შემდეგ გულია თვითონ მიხვდა რომ სპორტულ ამოწურვას უახლოვდებოდა და მოწყვეტით, ერთბაშად მიატოვა თამაში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ასე, რომ გულიას სუსტი თამაში არავის უხილავს. ის მარად ჭაბუკი და მუხლმაგარი დარჩა მაყურებლის მეხსიერებაში.

1963 წლის სეზონში ითამაშა გულიამ ბოლო მატჩები. სხვათაშორის არავის უფიქრია ამ უზადო სპორტსმენისათვის, რომელსაც დიდი სიხარული და აღტკინება მოუტანია ფეხბურთის ქომაგებისათვის, გაცილება მოეწყო.

მოედანზე მეკარეთა რისხვა ცხოვრებაში იყო და არის უადრესად თავმდაბალი, კეთილშობილი, კაცთმოყვარე, უპრეტენზიო.

გულიამ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ვენერამ ბრწყინვალედ მოიხადეს ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ლოცვა აღუსრულდა ანდრო ყორდანიას, მათ შვიდი შვილი აღუზარდეს ქვეყანას, (სამწუხაროდ, ერთი დაეღუპათ), თორმეტი შვილიშვილი ყავთ გულის გასახარად.

დღესაც თავაწეული დადის ჩვენს ქალაქში მისი ერთ-ერთი ღირსეული მოქალაქე, წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი, ლამაზი სულის ადამიანი, ბატონი გულია თუთბერიძე.

კეთილად იაროს!

კარლო მიქაია.

# ველარ მოგვითმენია

დიახ, არც ისე ხანგრძლივია წუთისოფელი, რომ უქმად ვხარჯოთ დრო. არადა, ეს უსასრულო „პაუზა" —უმუშევრობა რომ ჰქვია, ვერაფერ სასარგებლოსა და სასიკეთოს მოუტანს ქვეყანას.

ჩვენივე ხელით გაქურდულ-გაპარტახებულ საწარმო-დაწესებულებაში არ შეისვლება. აქა-იქ, როგორც იტყვიან, „პარტიზანულად" მუშაობენ „ტელატელიები", საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში. კოლოსალურად იზრდება სურსათისა და სამრეწველო საქონლის ფასები, ეცემა „კუპონების" მსყიდველობითი უნარი. გულშეჭირვებული პირვნებები, ძირითადში უმუშევრები, შესჩივრებიან „შრომითი მოწყობის ბირჟას", რომელთა მკვებავი არხი ისევ და ისევ დღეს დახაქმებულ მცირეოდენ საწარმო-დაწესებულებაზე ზოდის.

ვითმენთ, მაგრამ ველარ მოგვითმენია...

მ. ჩხეტია.

ГІГНІС ТААРО

# „ფიქრი საქმეში გაცხადებული"

სამამულო ჩაის ღირსებისათვის თავგამოდებულ მუშაკს, გამომგონებელსა და მეცნიერს რევაზ ხოფერიას ეძღვნება ნანა ჩიქოვანის წიგნი—„ფიქრი, საქმეში გაცხადებული".

ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის, ბროშურის, თუ გამოგონების ავტორმა ცხოვრების ბრძმედში გამოატარა ყველა სიახლე ჩაის გადამუშავების დარგში და მეცნიერულ დონეზე აიყვანა პრაქტიკული გამოცდილება.

# ქიმია ზოგჯერ მტრად გვევლინება

სუფრაზე მიტანილი ნებისმიერი ხილბოსტნეული მეტ—ნაკლებად შეიცავს აზოტმჟავა მარილებს, ანუ ნიტრატებს,

ბუნებრივ პირობებში ნიტრატების შემცველობა მცენარეებში ერთიმ მცირეა და თითქმის მთლიანად გადადის ორგანულ ნაერთებში. ეს ნივთიერება ეგვე მცენარეში მინერალური სასუქებით მდიდარ ნიადაგზე 40—ჯერ მეტი რაოდენობით გროვდება.

ნებისმიერი სასუქი, რომელიც აზოტს შეიცავს, ნიადაგში ნიტრატებად იქცევა. წყალში კარგად ხსნება, ადვილად ხვდება მცენარეთა ნაწილში, ფესვებში, დგროში, ფოთოლსა და ნაყოფში.

ბუნებრივ პირობებში ნიტრატებზე მცენარეთა უჯრედებში და ქსოვილებში გარდაიქმნება და საბოლოოდ ამ გზით მინერალური აზოტი იქცევა ადამიანებისათვის უვნებელ ნივთიერებად.

სხვა სურათია, როდესაც ადამიანი ნიტრატებს დიდი რაოდენობით იღებს მცენარეთ. ამ შემთხვევაში ვერცერთი მცენარე ვერ უძლებს დიდი რაოდენობით ნიტრატის მოძალებას და გროვდება ნაყოფში, რაც შემდეგ ადამიანის ორგანიზმში იყრის თავს.

მართალია, სოფლის მეურნეობის მუშაკები აზოტოვანი სასუქებით ზრდიან მოსავალს, მაგრამ ძვირად უჯდება იგი მოსახლეობას. მოზრდილი ადამიანისათვის 500 მილიგრამი ნიტრატის დღიური „ულუფა“ დასაშვებად ითვლება, ხოლო 600 მილიგრამი ტოქსიკური დოზას წარმოადგენს. ჩვილ ბავშვებისათვის კი 10 მილიგრამიც მომწყალელია.

პესტიციდების უშუალო და პირდაპირი ზეგავლენით მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იღუპება.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ აზოტოვანი სასუქები ნიადაგში შეიტანება ფაიფურის და კალიუმის მარილებთან ერთად, რაც რამდენჯერმე ამცირებს ნიტრატების რაოდენობას ბოსტნეულში.

აუცილებელია ხილ—ბოსტნეულისა და სხვა ნებისმიერი ნიტრატების ინდივიდუალური კონტროლის განხორციელება. მითუმეტეს ეხლა, როდესაც ასე გაძვირდა ცხოვრება და რაოდენობას გამოკიდებული მწარმოებელი არად დაგიდევს ნიტრატების სავალალო შედეგებს.

კვების პროდუქტების საში— ში ქიმიკატებით დაბინძურება უნდა აიკრძალოს. მკაცრად უნდა დავიცვათ შხამქიმიკატების ხმარების წესი.

გ. ზოგბერაძე,
აგრონომი.

# ადამ (ბოჩო) შენგელაია

ჩვენი ქალაქის ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა ერუდირებული სპეციალისტი, ყოველმხრივ დადებითი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება ადამ რაჟდენის ძე შენგელაია.

დაიბადა 1917 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. ზუგდიდში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის რკინიგზის ტექნიკუმში, შემდეგ—პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ ა. შენგელაია მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანმდებობებზე, წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ქალაქის პირველ და მეორე საშუალო სკოლებში. იგი იყო არაერთი ახალგაზრდა თაობის კეთილი აღმზრდელი, მეგობრებისათვის ვის — ჭირისა და ლხინის მოზიარე, ეროვნული საქმის ჩუმი მსახური.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს აწ და მარადის!

მეგობრები.

## გია ესებუა

### გია ბულია

ჩემო სიცოცხლე. ჩემო შვილო გია, რად გამიმწარე სიბერე, რატომ არ მაღირსე შენი ცრემლები, სამი წელია ყოველდღე შენს საფლავს მწარედ დავსტირი, რაც დრო გადის, უფრო უჭირს უშენობა უბედურ ბებიაშენს, მენატრები, ძალიან მენატრები...

შენი ბებია.

### გახსენება

ეს უკვე მეორედ მოდის უშენოდ შენი დაბადების დღე— 25 ივლისი. ოცდათოთხმეტისა გახდი. სამი შვილის მამა ხარ. მესამე —ნაბოლარა შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მერე მოგვევლინა. მან არ იცის რა არის მამის სიყვარული, მამის ხელის სითბო და სიძლიერე. ვერც ვერასოდეს გაიგებს, ვერც ვერასოდეს წარმოსთქვამს შვილისათვის ესოდენ სათაყვანებელ და საჭირო სიტყვას „მამა“...

ვინა სთქვა ოჯახის ბედნიერება შენნაირი ვაჟკაცის დაკარგვის შემდეგ, მაგრამ გრძელდება შენი გენი და ამით ვცოცხლობთ. იზრდებიან ბიჭები— შენი ხატება, შენი სისხლი და ხორცი. და გრძელდება შენი სიცოცხლე გია.

შენი ოჯახი.

# ბირუტაკვს ნუ ვათელინებთ

სასაფლაო, ჩვენი ახლობლებისა ძველთ შესალაგი რომ წმინდა ადგილია, მტკიცებას არ საჭიროებს. შეუძლებელია არ დეთანხმო ომ გონიერ კაცს, რომელმაც ასეთი რამ თქვა: „თუ გინდა ქალაქზე, მის მაცხოვრებლებზე წარმოდგენა იქონიო, პირველ რიგში სასაფლაო უნდა ნახო“...

რა მდგომარეობაა ამ მხრივ მაცხოვრის კარის სასაფლაოზე? არც თუ ისე სახარბიელო, ჭირის უფალნი, მართალია, ასე თუ ისე უვლიან თავიანთი მიცვალებულების საფლავებს, მაგრამ თვით სასაფლაოს შიდა ტერიტორიაზე ხშირად ნახავ თავისუფლად მოთარეშე პირუტყვს. ისინი თელავენ, ანადგურებენ ყველაფერს რაც გზაზე შეხვდებათ. ხანდისხან ცალკეული საფლავების კარებსაც შეამტვრევენ ხოლმე.

რა უნდა იფიქრო ამის შემხედვარემ? ეს ძროხები და ღორები, არა გვგონია, სპეციალურად იყოს ქალაქის ცენტრიდან გაგზავნილი. მათი მფლობელები აქვე ცხოვრობენ. აი, მათ რომ სათანადოდ აკონტროლებდნენ, ზემოთადნიშნულ უმსგავსობას არ ექნებოდა ადგილი.

სასაფლაო ყვავილებისა და ხასხასა მოლის, მცენარეებისა და ბუჩქების საუფლია და მოდით, ნუ გავათელინებთ მას ძროხებსა და ღორებს, თანაქალაქელებო. მიცვალებულებსაც ვცევთ პატივი და მათ ჭირისუფლებსაც.

# იმედის შუქის მსახურნი

ხილატაკეში ცხოვრობს, არ იშოვება პური, ბაზარს „ცეცხლი უკიდია“, კუპონი თანდათანობით „ქვდება“ და სიცოცხლის უუნარო ხდება, დროულად არ არის ხელფასები და პენსიები, არ მუშაობს ტრანსპორტი, საწარმოდაწესებულებები პარალიზებულია... ერთი სიტყვით, ყელამდე გაჭირვებაში ვართ ჩაფლული.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ მძიმე სიტუაციაშიც კი ახერხებს ზოგიერთი ორგანიზაცია გაპართულ მუშაობას. ამათგან ერთ—ერთი გახლავთ ქალაქ ზუგდიდის ელქსელის უბანი (უფროსი გ. გვაძაბია, მთავარი ინჟინერი თ. ქარჩავა). ის, რომ ზუგდიდელებს ზოგჯერ ერთადერთი ნუგეშად და შემწედ ელექტროენერგია გვაქვს და შუქი იშვიათად ქრება —ეს ამ უბნის მუშაკებს, შრომლებს, პროფესიული ოსტატობის, რთული და დაძაბული გარჯის შედეგია. ისინი უხმაუროდ, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ემსახურებიან ხალხს საკეთილდღეო საქმეს და, ჩვენის მხრივ, უმადურობა იქნება მადლობის თბილი სიტყვები არ გავიმეტოთ მათი მისამართით. ამასთან, ამ ორგანიზაციაშიც უამრავი პრობლემაა. კერძოდ, არა აქვთ სათადარიგო ელექტრომოწყობილობები და მასალები, მუშა—მოსამსახურეები სოციალურად დაუცველია, განიცდიან ფინანსურ სიძნელეებს იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილი არ იხდის გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს...

და ალბათ, უბნის მუშაკები ხვალინდელი დღის იმედით ილვწიან.

ბ. გელაანია,
ეგრისის ქუჩის მცხოვრები
პედაგოგი.


ხელმოწერილია საჯარადღეებიდ!

1 ივლისიდან დაიწყო გაზეთ „ოდიშის“ გამოწერა ამა წლის მეორე ნახევრისათვის. შეგახსენებთ, რომ ერთი ეგზემპლარის ღირებულება 1 კუპონია.

გთხოვთ გამოიწეროთ გაზეთი „ო დ ი შ ი“

რედაქცია



## განცხადება

28 ივლისს, ოთხშაბათს დღის 11 საათზე ზუგდიდის საქონლო, სანედლეულო და საფონდო ბირჟა ატარებს პირველ ღია ვაჭრობას.

ბიზნესმენებს, კომერსანტებს, სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მობრძანდეთ და აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ვაჭრობაში.

ჩვენი მისამართია: ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის №17.

ბირჟის ადმინისტრაცია.



## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „ჩელა“ სამუშაოდ იწვევს ფარმაცევტიული განათლების მქონე პირებს.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ფარმაცევტული განათლების დამადასტურებელი საბუთები. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კოოპერატივ „ჩელას“ გამგეობას შემდეგ მისამართზე: რკინიგზის სადგურის აფთიაქი №28.

კოოპერატივის გამგეობა.



## სარედაქციო კოლეგია

მეუღლე ნათელა ბუკია, შვილი ირაკლი, ძმა რეზო, ძმისშვილები: იზა, თამაზი, მარინა კუტალიები, დეიდა სულიკო, ბიცოლა მარგო, ცოლისდები ტატიანა, თამარი, ველოდი ბუკიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რეზო (ცუკური) პოლიკარპეს ძე კუტალია.**

პანაშვიდი 22, 23 ივლისს. დაკრძალვა 24 ივლისს. დღით შაბათს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კრილოვის ქ. მეორე შესახვევი 10-დან №18 საათზე.

მეუღლე ევგენია შოგირაძე, შვილები ციცო, როინი, რაძალი მანანა, შვილიშვილები თამარ, ლევან შენგელაიები იუწყებიან

**ადამ (ბოჩო) რაჟდენის ძე შენგელაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 ივლისს. გამოსვენება მესხიას ქ. №53—დან 16 საათზე.

ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კოლექტივი, განათლების განყოფილება მწუხარებით იუწყება ტექნიკური განყოფილების ყოფილი გამგის

**ბოჩია შენგელაიას**

გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.


[illegible] ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56. 2-22-87. ტირაჟი 700. შეკ. №142.